აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2027-2030 წლების პრიორიტეტები

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის მიერ გატარებული სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის შედეგად უნდა შეიქმნას თავისუფალი, ერთიანი, დემოკრატიული, სამართლიანი, ადამიანის განვითარებისა და საქმიანობის თავისუფლებაზე დაფუძნებული სახელმწიფოს მშენებლობაში რეგიონის სრულფასოვანი მონაწილეობის წინაპირობები. ცენტრალურ ხელისუფლებასთან სრული კოორდინაციით, აჭარის ავტონომიურმა რესპუბლიკამ თავისი წვლილი უნდა შეიტანოს ქვეყნის განვითარებაში.

ამ მიზნის მისაღწევად რეგიონის განვითარების სამთავრობო ხედვა ეფუძნება შემდეგ პრინციპებს:

- ადამიანზე ორიენტირებული გარემოს შექმნა, სადაც დაცული იქნება სიცოცხლის უფლება, თავისუფლება, სიტყვის თავისუფლება, თვითრეალიზაციის საშუალება;
- ეკონომიკის ზრდა, რომელიც აისახება თითოეულ ოჯახზე, რათა ის საგრძნობი გახდეს თითოეული მოქალაქისათვის;
- ტურიზმის პრიორიტეტული განვითარება, რაც გულისხმობს რეგიონის პოტენციალის სრულ გამოყენებას, რათა წელიწადის ოთხივე სეზონზე აჭარა იყოს ტურისტულად მიმზიდველი;
- ახალგაზრდების ჩართულობის გაძლიერება, მათი ნოვატორული იდეების, ენერგიის კონსოლიდაცია რეგიონის და ქვეყნის საკეთილდღეოდ;
- მაღალმთიანი აჭარის გაძლიერება, მასშტაბური ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება.

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საშუალოვადიან კონცეფციას, რომლის მიხედვით განსაზღვრულია მთავრობის საქმიანობის პრიორიტეტული მიმართულებები:

- საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით საბიუჯეტო პოლიტიკის განსაზღვრა და განხორციელება;
- ინკლუზიური ეკონომიკური ზრდა და დასაქმების ხელშეწყობა, რომელიც გულისხმობს ეკონომიკის დივერსიფიცირებას კონკურენტუნარიანი სფეროების მხარდაჭერის გზით, რაც განაპირობებს ღირებულებათა ჯაჭვის შექმნას;
- აქტიური საპრივატიზაციო პოლიტიკის გატარება და აქტივების ეკონომიკაში ჩართვის მაქსიმალური უზრუნველყოფა საპრივატიზებო ქონების ტურიზმის სხვადასხვა მიმართულებისა და ეკონომიკის ყველა სფეროსთვის შეთავაზების გზით;
- აჭარის საინვესტიციო პოტენციალის მიზნობრივი მარკეტინგი, კონკრეტული საინვესტიციო პროექტების შემუშავება და პოტენციური ინვესტორებისათვის შეთავაზება;
- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ქონების მართვისა და განკარგვის ეფექტიანობის ამაღლება, ქონების მართვის პროგრამული უზრუნველყოფის დანერგვა, ინფორმაციის ვებ სივრცეში ხელმისაწვდომობა;

გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვა, მოსახლეობის ეკოლოგიური უსაფრთხოების სფეროს კონტროლი და ზედამხედველობა, გარემოს ინტეგრირებული მართვის ხელშეწყობა, გეოლოგიური მონიტორინგი, საზოგადოების ეკოლოგიური ცნობიერების ამაღლება, გარემოს დაცვის სფეროსთან დაკავშირებულ საკითხებზე სხვადასხვა ადგილობრივ და საერთაშორისო სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა. შავი ზღვის ქ. ბათუმის სანაპირო ზოლის შენარჩუნება.

- ტყეების მდგრადი მართვა, ტყის ბუნებრივი და ანთროპოგენული ზემოქმედებისაგან დაცვა, ტყის სანიტარული მდგომარეობის გაუმჯობესება და ბიომრავალფეროვნების შენარჩუნება, ტყის აღდგენა, ტყის რესურსების ეფექტიანი გამოყენება, ტყის რესურსებით სარგებლობისა და სატყეო სექტორის მართვის საკითხებთან დაკავშირებით მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება.

- რეგიონის მდგრადი და ჰარმონიული განვითარების უზრუნველსაყოფად ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს გამართული ინფრასტრუქტურის შექმნა, მოვლა და მისი განვითარება. გამართული საგზაო და ნაპირდაცვითი ინფრასტრუქტურის შექმნისადმი ხელშეწყობა დარგში სახელმწიფო პოლიტიკის გატარების მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს;

- ქალაქ ბათუმის ფუნქციონალური და ეკონომიკური პროფილის გაძლიერების პარალელურად მაქსიმალური აქცენტი მუნიციპალიტეტების და მაღალმთიანი აჭარის განვითარებაზე გაკეთდება. მაღალმთიან რეგიონში ინფრასტრუქტურული პროექტების ინტენსიური განხორციელება გააქტიურებს ეკონომიკურ პროცესებს, რაც სოფლის მდგრადი განვითარების წინაპირობას შექმნის.

- რეგიონის ტურიზმისა და კურორტების განვითარების ხელშეწყობა, რეგიონის ტურისტული მიმართულებებისა და პროდუქტების გამრავალფეროვნება და რეგიონის ცნობადობის გაზრდა საერთაშორისო და შიდა ბაზარზე, ურთიერთთანამშრომლობითა და ინოვატორული ინიციატივებით პარტნიორებისა და დაინტერესებული პირების დახმარებით ხარისხის სტანდარტის ამაღლება. ახალი ტურისტული მიმართულებების - სპორტული, კულტურული, ხანდაზმულთა ტურიზმის და ეკოტურიზმის განვითარება, რაც გაზრდის ტურისტულ ნაკადებს რეგიონში;

- ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი განათლების ხარისხის გაუმჯობესება, უწყვეტი განათლების ხელშეწყობა. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მატერიალური ბაზის გაუმჯობესება. სკოლის შემდგომი ფორმალური განათლების ორიენტირება შრომის ბაზრის მოთხოვნებსა და რეგიონის საჭიროებებზე. განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდა სოციალურად დაუცველი და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პირებისათვის. უმაღლესი განათლებისა და სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობა;

- ახალგაზრდების ჩართულობა საზოგადოებრივ, კულტურულ და პოლიტიკურ ცხოვრებაში, რაც განავითარებს ახალგაზრდების მხრიდან ეკონომიკის სხვადასხვა დარგებში თვითრეალიზების შესაძლებლობებს. განხორციელდება პროექტები, რომელიც ახალგაზრდებს საშუალებას მისცემს მიიღონ მონაწილეობა უცხოეთის წამყვანი უნივერსიტეტების გაცვლით პროგრამებში, მოხდება მათი სტაჟირება საჯარო უწყებებში;

- აჭარის ტერიტორიაზე არსებული კულტურის ძეგლების დაცვა-შენარჩუნება. აჭარის მუზეუმებისა და გალერეების მოდერნიზება და მართვის წესებისა და რეგულაციების შემუშავება საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით. ფოლკლორის და ხალხური შემოქმედების ხელშეწყობა, შენარჩუნება და პოპულარიზაცია. სახვითი, გამოყენებითი და მულტიმედიური ხელოვნების ხელშეწყობა და მისი შემდგომი პოპულარიზაცია. სასცენო და სამუსიკო ხელოვნების განვითარების ხელშეწყობა. ხელოვნების და კულტურის სფეროში პროფესიული დონის ამაღლება და კვალიფიციური კადრების მომზადება. კულტურის დაწესებულებების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება;

- ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია და მასობრივ სპორტში მოქალაქეთა ჩართულობის გაზრდა. პროფესიული სპორტის მხარდაჭერა და სპორტული მიღწევების გაუმჯობესება. სპორტის ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია და განვითარება;

- მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფების, მათ შორის სოციალურად დაუცველი კატეგორიის მოსახლეობის სამედიცინო მომსახურებასთან დაკავშირებული იმ ფინანსური რისკებისაგან დაცვა, რომელიც ვერ იფარება სახელმწიფო ბიუჯეტით დაფინანსებული სამედიცინო პროგრამებით;

- ზოგიერთი სოციალური კატეგორიის მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსებისა და მოზრდილი მოსახლეობის რეაბილიტაციასთან დაკავშირებული ფინანსური რისკების დაცვა. სოფლებში სამედიცინო პერსონალის კადრების დამაგრების მიზნით მათი მატერიალური სტიმულირება. გარკვეული კატეგორიებისათვის სოციალური დახმარებების გაცემა, 18 წლამდე ასაკის ბავშვთა (მათ შორის შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე ბავშვი), შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირთა და ხანდაზმულთა სამედიცინო/სოციალური რეაბილიტაცია და ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესება. სოციალური და სტიქიის შედეგად დაზარალებული ოჯახების უსაფრთხო საცხოვრებლით უზრუნველყოფა;

- სოციალურად დაუცველ ფენებსა და დაავადების მაღალი რისკის მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება და ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრების ხელშეწყობა, დაავადებათა პრევენცია და კონტროლი;

- აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში დასაქმების სისტემისა და მექანიზმების განვითარების ხელშეწყობა, საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფის წევრების პროფესიული კვალიფიკაციის შეძენა/ამაღლება მათი დასაქმების ხელშეწყობის მიზნით;

- თანამედროვე აგროტექნოლოგიების დანერგვა, ადგილობრივი პროდუქციის წარმოების კონკურენტუნარიანობის გაზრდა, ნიადაგის პროდუქტიულობის ამაღლება, ერთეული სასოფლო–სამეურნეო სავარგულის რაციონალური გამოყენება, აგრარულ სფეროში დასაქმებულთა პრაქტიკული უნარ–ჩვევებისა და ცოდნის გაფართოება, სამელიორაციო სისტემების განვითარება, ადგილობრივად წარმოებული პროდუქციის რეალიზაციის ალტერნატიული სისტემების განვითარების ხელშეწყობა.

გასული საბიუჯეტო წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის საბოლოო შედეგების ანალიზი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2025 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსულობების შესრულებამ 762 348,7 ათასი ლარი შეადგინა.

2025 წლის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსავლებმა 755 393,3 ათასი ლარი შეადგინა:

ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსავლების ძირითადი ნაწილი მოდის გადასახადებზე, რომელიც მოიცავს მხოლოდ საშემოსავლო გადასახადს. საშემოსავლო გადასახადის ფაქტიურმა შესრულებამ 725 935,0 ათასი ლარი შეადგინა.

რესპუბლიკური ბიუჯეტის 2025 წლის გრანტების შესრულებამ შეადგინა 2 600,0 ათასი ლარი.

რესპუბლიკური ბიუჯეტის 2025 წლის სხვა შემოსავლების შესრულებამ შეადგინა 26 858,3 ათასი ლარი.

არაფინანსური აქტივების კლებით (აქტივების გაყიდვა) რესპუბლიკურ ბიუჯეტში ჩაირიცხა 6 955,4 ათასი ლარი.

2025 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებები სფეროების მიხედვით

აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები, საერთო დანიშნულების მომსახურება, ვალთან დაკავშირებული ოპერაციები, სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაში 91 018,8 ათასი ლარი;

ფულადი ტრანსფერები მუნიციპალიტეტებში 303 386,2 ათასი ლარი;

ეკონომიკური საქმიანობა 95 568,1 ათასი ლარი.

გარემოს დაცვა 3 232,5 ათასი ლარი;

საბინაო-კომუნალური მეურნეობა 34 037,4 ათასი ლარი.

ჯანმრთელობის დაცვა 59 316,3 ათასი ლარი;

დასვენება, კულტურა და რელიგია 54 443,6 ათასი ლარი;

განათლება 81 849,9 ათასი ლარი;

სოციალური დაცვა 30 842,6 ათასი ლარი;

მიმდინარე საბიუჯეტო წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის გადამუშავებული პროგნოზი

2026 წლის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსულობები განისაზღვრა 971 795,7 ათასი ლარის ოდენობით.

2026 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის გადასახადების საპროგნოზო მაჩვენებელი შეადგენს 800 000,0 ათას ლარს, რესპუბლიკურ ბიუჯეტში გადასახადების კუთხით ირიცხება მხოლოდ საშემოსავლო გადასახადი.

2026 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის სხვა შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი შეადგენს 16 795,7 ათას ლარს.

2026 წელს არაფინანსური აქტივების კლებიდან მისაღები სახსრების საპროგნოზო მოცულობა შეადგენს 155 000,0 ათას ლარს. აღნიშნული სახსრების მობილიზება განხორციელდება სახელმწიფო და რესპუბლიკური საკუთრების ქონების რეალიზაციიდან.

2026 წლის 1 იანვრისათვის არსებული ნაშთი გამოყენებული იქნა 30 204,3 ათასი ლარის ოდენობით.

2026 წელს ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის ასიგნებები განისაზღვრა 1 002 000,0 ათასი ლარის ოდენობით. ადგილობრივი შემოსავლების რაციონალურად მართვის პირობებში შესაძლებელი გახდა დაფინანსებულიყო რეგიონისათვის ისეთი მნიშვნელოვანი პროექტები, როგორიცაა:

ტყის დაცვა, მოვლა და სატყეო-სამეურნეო ინფრასტრუქტურის გამართვა 2 693,3 ათასი ლარი;

პლაჟის ხელოვნური კვების სამუშაოები 2 650,0 ათასი ლარი;

საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა 65 428,8 ათასი ლარი;

განათლებისა და სპორტის სფეროში განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული ღონისძიებები 52 093,2 ათასი ლარი;

კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნება და განვითარება 5 124,1 ათასი ლარი;

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობა და ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება 11 070,0 ათასი ლარი;

ჯანმრთელობის, სოციალური დაცვის, დასაქმებისა და დაავადებათა პრევენციის ღონისძიებები 78 389,7 ათასი ლარი;

სოფლის მეურნეობის ხელშეწყობისა და განვითარების ღონისძიებები 13 805,7 ათასი ლარი;

ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა 16 160,0 ათასი ლარი;

სპორტული ინფრასტრუქტურული პროექტების სამშენებლო, მშენებლობასთან დაკავშირებული მომსახურებების პროექტები 64 908,2 ათასი ლარი;

ქალაქმშენებლობითი და სივრცითი მოწყობის პროექტები 7 050,0 ათასი ლარი;

საინჟინრო და კომუნალური ინფრასტრუქტურა 1 850,0 ათასი ლარი;

ქალაქ ბათუმში, მეჯინისწყლის დასახლებაში ე.წ „ოცნების ქალაქი"-ს ტერიტორიაზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების მშენებლობა სოციალური და სტიქიის შედეგად დაზარალებული ოჯახებისათვის 51 137,1 ათასი ლარი;

ადგილობრივ თვითმმართველ ერთეულებში განსახორციელებელი სოციალური და ინფრასტრუქტურული პროგრამები 369 078,6 ათასი ლარი;

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2027-2030 წლების რესპუბლიკური ბიუჯეტის მაჩვენებლები

ა) შემოსულობები:

2027 წლისათვის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 1 000 000,0 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის შემოსავლები შეადგენს 910 000,0 ათას ლარს. საშემოსავლო გადასახადის 2027 წლის საპროგნოზო მოცულობა შესაძლებელია განისაზღვროს 890 000,0 ათასი ლარით;

2028-2030 წლის საშემოსავლო გადასახადის პროგნოზი განისაზღვრა შესაბამისად 2028 წელს 970 000,0 ათასი ლარით, 2029 წელს 1 040 000,0 ათასი ლარით და 2030 წლისათვის 1 120 000,0 ათასი ლარის ოდენობით.

სწრაფი და ეფექტური საინვესტიციო პოლიტიკა საშუალებას მოგვცემს გაიზარდოს ავტონომიური რესპუბლიკის შემოსავლები, გაუმჯობესდეს ეკონომიკური და სოციალური ფონი, შეიქმნას ახალი სამუშაო ადგილები, გაიზარდოს დასაქმებულთა რიცხოვნობა და გააქტიურდეს სამეწარმეო სექტორი.

2027 წელს სხვა შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 20 000,0 ათასი ლარით, დეპოზიტებსა და ანგარიშებზე დარიცხული პროცენტები, დივიდენდები, რენტა, საქონლისა და მომსახურების რეალიზაციის კუთხით მიღებული შემოსავლები, სანქციები (ჯარიმები და საურავები) და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები.

არაფინანსური აქტივების კლების საპროგნოზო მაჩვენებელი 2027 წლისათვის განისაზღვრა 90 000,0 ათასი ლარის ოდენობით.

ბ) ფინანსური აქტივების შემცირების კუთხით (2027 წლისათვის არსებული ნაშთის გამოყენება) იგეგმება 30 000,0 ათასი ლარის გამოყენება.

გ) გადასახდელები:

2027 წლისათვის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის გადასახდელების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 1 030 000,0 ათასი ლარის ოდენობით.

2027 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის გადასახდელები მხარჯავი დაწესებულებების მიხედვით შემდეგნაირად გადანაწილდა:

- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო - 9 800,0 ათასი ლარი;
- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისია - 1 620,2 ათასი ლარი;
- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა - 7 263,0 ათასი ლარი;
- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო - 171 995,9 ათასი ლარი;
- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და სპორტის სამინისტრო - 121 000,0 ათასი ლარი;
- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო - 95 000,0 ათასი ლარი;
- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტრო - 43 000,0 ათასი ლარი;
- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კულტურის სამინისტრო - 54 000,0 ათასი ლარი;
- საერთო დანიშნულების რესპუბლიკური გადასახდელები - 526 320,9 ათასი ლარი.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის მაჩვენებლები

(ათასი ლარი)

დასახელება	2025 წლის ფაქტი	2026 წლის გეგმა	2027 წლის გეგმა	2028 წლის გეგმა	2029 წლის გეგმა	2030 წლის გეგმა
შემოსავლები	**755 393.2**	**816 795.7**	**910 000.0**	**990 000.0**	**1,060,000.0**	**1,140,000.0**
გადასახადები	725 935.0	800 000.0	890 000.0	970 000.0	1,040,000.0	1,120,000.0
გრანტები	2 600.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
სხვა შემოსავლები	26 858.3	16 795.7	20 000.0	20 000.0	20 000.0	20 000.0
ხარჯები	**633 429.2**	**796 533.6**	**818 708.5**	**862 864.9**	**955 115.1**	**1011 433.6**
შრომის ანაზღაურება	70 621.3	83 567.7	83 139.3	85 444.9	83 195.9	83 196.9
საქონელი და მომსახურება	74 215.0	101 729.0	103 191.3	111 074.0	112 317.9	114 531.1
პროცენტი	1 805.1	2 895.1	3 889.3	3 752.7	3 238.6	2 757.7
სუბსიდიები	19 526.2	19 967.6	20 107.6	20 157.6	20 242.6	20 657.6
გრანტები (გაცემული)	313 658.1	383 125.3	383 047.8	444 514.1	589 536.9	639 857.7
სოციალური უზრუნველყოფა	73 741.5	69 168.0	77 654.5	91 658.1	91 659.1	96 642.3
სხვა ხარჯები	79 862.0	136 080.9	147 678.6	106 263.5	54 924.1	53 790.3
საოპერაციო სალდო	**121 964.1**	**20 262.1**	**91 291.5**	**127 135.1**	**104,884.9**	**128,566.4**
არაფინანსური აქტივების ცვლილება	**113 310.8**	**31 045.2**	**97 814.8**	**138 413.9**	**116,163.7**	**141,266.4**
ზრდა (შემენა)	120 266.2	186 045.2	187 814.8	198 413.9	156 163.7	171 266.4
კლება (გაყიდვა)	6 955.4	155 000.0	90 000.0	60 000.0	40 000.0	30 000.0
მთლიანი სალდო	**8 653.3**	**-10 783.1**	**-6 523.3**	**-11 278.8**	**-11,278.8**	**-12,700.0**
ფინანსური აქტივების ცვლილება	**-11 122.6**	**-30 204.3**	**-30 000.0**	**-30 000.0**	**-30 000.0**	**-30 000.0**
ზრდა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
ვალუტა, დეპოზიტები	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
კლება	11 122.6	30 204.3	30 000.0	30 000.0	30 000.0	30 000.0
ვალუტა, დეპოზიტები	11 122.6	30 204.3	30 000.0	30 000.0	30 000.0	30 000.0
ვალდებულებების ცვლილება	**-19 775.8**	**-19 421.2**	**-23 476.7**	**-18 721.2**	**-18 721.2**	**-17 300.0**
ზრდა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
სესხები	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
კლება	19 775.8	19 421.2	23 476.7	18 721.2	18 721.2	17 300.0
სესხები	19 775.8	19 421.2	23 476.7	18 721.2	18 721.2	17 300.0
ბალანსი	**0.0**	**0.0**	**0.0**	**0.0**	**0.0**	**0.0**

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება

(ათასი ლარი)

დასახელება	2025 წლის ფაქტი	2026 წლის გეგმა	2027 წლის გეგმა	2028 წლის გეგმა	2029 წლის გეგმა	2030 წლის გეგმა
შემოსულობები	**762 348.7**	**971 795.7**	**1,000,000.0**	**1,050,000.0**	**1,100,000.0**	**1,170,000.0**
შემოსავლები	755 393.2	816 795.7	910 000.0	990,000.0	1,060,000.0	1,140,000.0
არაფინანსური აქტივების კლება	6 955.4	155 000.0	90 000.0	60 000.0	40 000.0	30 000.0
ფინანსური აქტივების კლება (ნაშთის გამოკლებით)	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
გადასახდელები	**773 471.2**	**1,002,000.0**	**1,030,000.0**	**1,080,000.0**	**1,130,000.0**	**1,200,000.0**
ხარჯები	633 429.2	796 533.6	818 708.5	862 864.9	955 115.1	1011 433.6
არაფინანსური აქტივების ზრდა	120 266.2	186 045.2	187 814.8	198 413.9	156 163.7	171 266.4
ფინანსური აქტივების ზრდა (ნაშთის გამოკლებით)	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
ვალდებულებების კლება	19 775.8	19 421.2	23 476.7	18 721.2	18 721.2	17 300.0
ნაშთის ცვლილება	**-11 122.6**	**-30 204.3**	**-30 000.0**	**-30 000.0**	**-30,000.0**	**-30,000.0**

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის თითოეული მხარჯავი დაწესებულებისათვის 2027-2030 წლებში გასათვალისწინებელი ასიგნებების საორიენტაციო ზღვრული მოცულობა

(ათასი ლარი)

#	დასახელება	დასაშვებულთა საორიენტაციო ზღვრული მოცულობა 2027 წლისათვის	2027 წლისათვის ზღვრული მოცულობა	2028 წლისათვის ზღვრული მოცულობა	2029 წლისათვის ზღვრული მოცულობა	2030 წლისათვის ზღვრული მოცულობა
1	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო	117	9,800.0	9,800.0	9,800.0	9,800.0
2	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისია	23	1,620.2	4,698.0	1,698.0	1,698.0
3	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა	66	7,263.0	7,263.0	7,263.0	7,263.0
4	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო	301	171,995.9	178,828.3	138,891.7	156,204.9
5	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და სპორტის სამინისტრო	537	121,000.0	127,967.3	127,868.3	127,769.3
6	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	141	95,000.0	110,000.0	110,000.0	115,000.0
7	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტრო	327	43,000.0	42,814.7	42,508.9	42,508.9
8	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კულტურის სამინისტრო	1,930	54,000.0	59,692.5	59,692.5	59,692.3